ხელშეკრულება № 70
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.დუშეთი

15 მარტი 2019 წელი

ერთი მხრივ, დუშთის მუნიციპალიტეტი (რუსთაველის ქ. №27), წარმოდგენილი მერის ზურაბ სეხნიაშვილის სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორე მხრივ, შპს "მშენ-ექსპერტი" (საქართველო, ქ. თბილისი, ნოსტეს ქ. 28 ს/კ **200266559**) დირექტორი მალხაზ წიქარიშვილის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი) ვხელმძღვანელობთ რა 2019 წლის 27 თებერვლის საქართველოს მთავრობის №441 განკარგულებით, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობითა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებით სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დუშეთის, მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან , სოფლის მხარდაჭერის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების წარმოდგენილი საპროექტო ან/და დეფექტური აქტის და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზის მომსახურება შესყიდვა. (შემდგომში - მომსახურება)

1.2. კლასიფიკატორის (CPV) კოდი -71319000 - საექსპერტო მომსახურებები.

2. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს -31 207 (ოცდათრამეტი ათას ორას შვიდი) ლარს.

2.2. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს გადაუხადოს უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

2.4 შესყიდვის დაფინანსება(წელი და წყარო):

2.4.1 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

2.5. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის და დამატებითი ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისი წესით გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2.6. ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს გაწეული საექსპერტო მომსახურების მიღება-ჩაბარების ორმხრივ აქტს (წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი დამატებითი ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურა), რის საფუძველზეც შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულებას.

2.7. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ფორმით და მასში მითითებული რეკვიზიტების შესაბამისად.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. შემსრულებელი ვალდებულია მომსახურება გაწიოს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 05 ივნისის ჩათვლით.

3.2. მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

3.5. შემსყიდველი გაწეული მომსახურების მიღების და საბოლოო შემოწმების ადგილია დუშეთის მუნიციპალიტეტი,

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1. მომსახურება განახორციელოს ჯეროვნად, ტექნიკური დავალებისა, წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის დაცვით; საპროექტო ორგანიზაციის მიერ საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მიმდინარეობის პროცესში მისი ჩართულობის შედეგად საბოლოოდ მიღებული დოკუმენტაციის გადაცემიდან 5სამუშაო დღეში ჩაუტაროს აღნიშნულ დოკუმენტაციას საექსპერტო მომსახურება და გასცეს შესაბამისი დასკვნა. უარყოფითი დასკვნის გაცემის შემთხვევაში ,ხელახლა წარმოდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღებიდან 3 სამუშაო დღეში ჩაუტაროს აღნიშნულ დოკუმენტაციას საექსპერტო მომსახურება და გასცეს შესაბამისი დასკვნა (მაქსიმუმ სამჯერ)

4.1.2. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული, შემსყიდველის მიერ განხორციელებული ინსპექტირების შედეგად, გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4.1.3. გონივრულ ვადაში მიაწოდოს შემსყიდველს მისი რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან სხვაგვარი მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია.

.საბოლოო ანგარიშსწორების განსაზღვრის მიზნით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენა (ტექნიკური დავალება და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფასების ცხრილი ხელშეკრულებას თან ერთვის).

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1. ეტაპობრივად მიაწოდოს მიმწოდებელს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია არა უმეტეს 10 პროექტისა ერთდროულად.

4.2.2. შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.
4.2.3. დროულად მიიღოს მიმწოდებლის მიერ გამოგზავნილი ინფორმაცია, ცნობა ან/და წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია.

5. ფორს-მაჟორი

5.1. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ, წარმოადგენს მათი კონტროლისგან დამოუკიდებელ გარემოებას, რაც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი (ფორს-მაჟორი) და რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა.
5.2. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით.
5.3. მხარე, რომელსაც ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების მიზეზად მოჰყავს დაუძლეველი ძალა, ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენის დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი ცნობა, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაში.

6. ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1. . ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.
6.1.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობების შესრულებისაგან.
6.1.3. ხელშეკრულების შეწყვეტა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდება მხარეთა შორის დანართის გაფორმების გზით.
6.1.4. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს, ცალმხრივად, წერილობითი ფორმით შეწყვიტოს ხელშეკრულება.
6.1.5. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, ვადამდე, ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება თუ:
ა) მიმწოდებელი არღვევს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულებითა და დეტალური ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ვალდებულებას;
ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების ან გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (მიუხედავად მისი დაწყების დროისა) ან ხელშეკრულების ფაორმების შემდგომ, დაიწყო მიმწოდებლის ლიკვიდაციის პროცედურა;
გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს ვარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, ზეგავლენა მოახდინოს ხელშეკრულები გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;
დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

7. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

7.1. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია არ მოითხოვება.

8. უფლების გადაცემა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარესთან წინასწარი წერილობითი წებართვის გარეშე.
8.2. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით.

9. ქვე-კონტრაქტორები

9.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ყველა შესაძლო ქვე კონტრაქტორის აყვანის შესახებ, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს ასევე აცნობოს თუ რა მოცულობის მომსახურება გადაეცემა ქვეკონტრაქტორს.

10. შეტყობინება

1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, უნდა გაიგზავნოს წერილის, ოფიციალური ელექტრონული ფოსტის (შემსყიდველის შემთხვევაში - dusheti@org.ge , მიმწოდებლის შემთხვევაში mshenekperi@yahoo.com ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.
2. შემსყიდველი უფლებამოსილია ასევე უფლებამოსილია ოფიციალური შეტყობინება ატვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.ამგვარი შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება ატვირთვის მომენტიდან.
3. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინებაში ძალაში შესვლისათვის დადგენილ დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

11. ინსპექტირება

11.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ინსპექტირება (მონიტორინგი) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულების მიმდინარეობაზე.
11.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების (მონიტორინგის) შედეგად, მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებაში გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისას

12.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ასევე, ხელშეკრულების უსაფუძვლო შეწყვეტის შემთხვევაში, დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ყოველ კონკრეტულ ობიექტზე მომსახურების ღირებულების (5)%-ის ოდენობით,
12.2. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების (5) %-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
12.3. წინამდებარე ხელშეკრულების 12.1. პუნქტის საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულებიდან დაუკავოს თანხა დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობით და მოახდინოს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
12.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობით/არაჯეროვანი შესრულებით მესამე პირისათვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს.
12.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და პირობების შეუსრულებლობით/არაჯეროვანი შესრულებით შემსყიდველისათვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს.
12.6. მიმწოდებლის მიერ ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ქმედებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

13. დავის გადაწყვეტის წესი

13.1.მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.
13.2. მხარეთა შორის წარმოშობილ დავასთან დაკავშირებით შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ცვლილებები და დამატებები

14.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა ხდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
14.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
14.3. ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

16. სხვა პირობები

16.1. იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების გაწევის დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების ცვლილების აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია წინამდებარე ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

16.2.მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში დაფიქსირებული და შემსყიდველთან შეთანხმებული გასაწევი მომსახურების ფასები (პროცენტი) წარმოადგენს ხელშეკრულების ძირითად პარამეტრებს მისი მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

16.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

16.4. ნებისმიერი საკითხი, რომელიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

16.6. ხელშეკრულება დადებულია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ამათგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო დანარჩენი სამი რჩება შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველის სახელით: დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი ზურაბ სეხნიაშვილი (ბ.ა)	მიმწოდებლის სახელით: შპს. "მშენ-ექსპერტი" მალხაზ წიქარიშვილი
ქ.დუშეთი, რუსთაველის ქუჩა №27 სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი _ TRESGE22 მიმღების ანგარიში GE24NB0330100200165022 ხაზინის კოდი ს/კ 229324451	საქართველო, ქ. თბილისის, ნოსტეს ქ. 28 სს "საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი _ BAGAGE22 ა/ა- №GE91BG0000000252938700 ს/ კ 200266559

Dusheti Municipality

Digitally signed by Dusheti Municipality
Date: 2019.03.15 18:16:40 +04'00'